



ლიცეოს სკოლა საშური

საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთ „საშურის მოამბის“ დამატება
№9, 2 ოქტომბერი, ორშაბათი, 2023 წელი

ტკივილი... აფხაზეთი – 30

* * *

მოშლილა მორდუს
ჯარგვალის კარი,
სად სიყრმეც დარჩა,
ტკივილის გარდა,
აყმუვლებული,
ჯარგვალში, ქარი
მოაფრიალებს
ჭვარტლიან ფარდას...
თუმც, კლანჭს და ნისკარტს
ვუსინჯავ მართვეს,
ის ომი ყელში
ყულფივით მიჭერს,
ნავუქცევ ჭიქას
აფხაზს და ქართველს –
ლოცვად და ჯვრებად
დარჩენილ ბიჭებს!..
ჟამი ავაზის ნახტომით მიხტის,
ვზივარ და ვზომავ
ათჯერ და ასჯერ,
სირცხვილს ვწონი და
სიცოცხლეს ვიხდი,
როგორც უფლისგან
ბოძებულ სასჯელს!..

ვასილ ბესელია



მწერლები ავსახებიდან

გიორგი ბალახაშვილი

* * *

მორჩილად სხედან ჩასასვლელთან მეტრო ღრმაღელის, მოხუცებული ბებიები, ღერებს ყიდიან, ნატოში შესვლის პერსპექტივა აღარ აღელვებთ, ნატო ბებიას საფიქრალი უფრო დიდია. მანაც, ომის დროს, აფხაზეთში შვილი დაკარგა, მეუღლეს შვილზე ფიქრს გადაჰყვა – გულის ინფარქტი... განირჩეოდა დღენიდაგ მისგან ავ-კარგი, უმაღვე პასუხს მოგიგებდათ, როცა ჰკითხავდით სუბტროპიკული, ტენიანი ჰავის თვისებებს, ციტრუსის მოვლას, ჩაის კრეფას, კიდევ უამრავ საჭირო ცნობას, მთვარე მარტში როგორ იცვება, მთვარე, რომელიც მოიტაცეს, გადაუმალავთ. გეტყობდათ, როგორ გადასახლდა უნინ, ჩამბაზე, რაოდენ ახლოს იყო სახლთან შავი ზღვისპირი, ახლა, ქუჩაში გამოსული, როგორც ჯამბაზი, წარსულ დღეებზე ვერც იცინის, ვეღარც მისტირის. წყვილი კურცხალიც არ გადმოდის ამომშრალ თვალებს, ყოველი დილა – წინა ღამის პარაკლისია... რომ საღამომდე გაყიდული ღერები თვალს, დაახარისხოს პურის ფული, ქირა, ნისიაც. მორჩილად იჯდეს ჩასასვლელთან მეტრო ღრმაღელის, სადაც წლებია, ბებიები ღერებს ყიდიან... ნატოში შესვლის პერსპექტივა აღარ აღელვებთ, ნატო ბებიას საფიქრალი უფრო დიდია.

ნანა ჯეჯეია

მარტი – ჭირისუფალი

წლების წინ, მარტმა, თავისთვის უჩვეულო სიმშვიდით, დედაჩემი თან წაიყვანა და მარადიულ გაზაფხულში დაასახლა, მე კი იასამნის და ჟასმინის ყვავილობა დამიტოვა მის სახსოვრად... დედა აფხაზეთში დარჩა, ვერც წარმოედგინა და იქაურობის დატოვების გაგონებაც არ ისურვა. ფიქრობდა, რომ სხვაგან სიცოცხლეს ვერ შეძლებდა... ჩემი ძმის სახლს ახლაც ატყვია, კრიმინალისტების მიერ დანაშაულის ადგილზე მოხაზულ წრესავით, დედაჩემის სიმაღლეზე, მისი შეშინების მიზნით გასროლილი და კედელს დახლილი, დაცლილი მჭიდის ნაკვალევი... დილაადრიან მატარებლიდან ჩამოსული, დაბნეული და გაღიზიანებული მივადექი ენგურის ხიდს, რომელზედაც ჩემი და სიჩუმის მეტი, იმ წუთას, გადასვლას არავინ აპირებდა, რადგანაც ყველას დავასწარი და გავრბოდი დედის სანახავად... მაინც უსასრულოდ გრძელი მეჩვენა გასავლელი მანძილი, რომელიც სულ რაღაც 870 მეტრია. ვიგრძენი, რომ ვილაც შემომემატა ხიდზე და მივიხედე უკან, მაგრამ არავინ იყო და მივხვდი: სიჩუმემ თავისი გაიტანა, შიში დამამგზავრა, შინ დაბრუნების შიში რომ დავარქვი მერე... დამნაშავეს ხომ ყოველთვის სხვაში ვეძებთ ადამიანები და მეც მდინარეს დავაბრალე ჩემი ფორიაქი. შინ მიმავალი მგზავრის გამხნეების ნაცვლად, თავისთვის, ჩუმად, რატომ იცრემლებოდა ენგური? რატომ რცხვენოდა მას ჩემი? – რომ არ დაშრა და ვერც საზღვარს გასცდა, ასე დაპატარავებული, დავინროებული და კალაპოტიდან გვერდზე მიგდებული... მე კი მინდოდა, აეკლო იქაურობა ქუხილით, მიდებ-მოდებოდა ნაპირებს, გაერღვია ჯებირი, საზღვარიც გადაელახა და ედინა ისევ თავისი ფართო გზით და ეხმარა... თითქმის ორი საათი დავკარგე, სანამ ჩემს დაკითხვას მორჩნენ და „იქით“ გადასვლის ნება დამრთეს... ტრანსპორტის მოძიება გამიჭირდა, მეჩქარებოდა და ავტობუსს ვერ დავუცდიდი. ერთი მძლოლი დამთანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ ექვსი ადამიანის მგზავრობის საფასურს გადავუხდინდი წინასწარ და დამპირდა, რომ გზადაგზა არ გააჩერებდა მანქანას, რათა დრო არ დამკარგვოდა.

როგორც იქნა, გაილია გზა და მივედი სახლამდე. ჭიშკარი რომ შევალე, თითქოს ხელი მკრა და უკან დამხია ფანჯრებს მომდგარმა და მოჩერებულმა ტკივილით სავსე მოლოდინის ძალამ, მარტობის უთქმელი საყვედურიც რომ ახლდა თან... „დე, მე მოვედი!“ – დავიძახე და კიბეებს ავუყევი... პირველად შევატყვე დედას სიბერე... მივხვდი, რომ მძიმე ღამე ჰქონდა გამოვლილი და უფრო რთული დღე წინ რომ გველოდა, არც ეს გამომპარვია. იმედი მაინც შემოვიწინა. ვეცადე, მას არ შეემჩნია ეს... საღამოს ხუთ საათამდე ბევრი ვისაუბრეთ, ვეფერეთ ერთმანეთს, ძველი სურათები ვათვალიერეთ. ვიცინეთ და უფრო მეტი ვიტყვი. საიდუმლოსავით გამანდო: – დედაჩემი მენატრებაო... მერე ჩათვლიმა. მეც გვერდით მივუწევი. მალევე გამომავლია მისმა ფრთხილმა შეხებამ და ჩურჩულმა: „შენ არ შეგეშინდეს, დე, დედაბებია დგას კართან...“ არა, არ მეშინია-მეთქი. მაგრამ ჩავეხუტე, მის კისერთან ჩავმარხე თავი და უხმოდ ავტირდი ისე, რომ კარებთან მომლოდინე ლანდი არ დამეფრთხო... ეს პირველად არ მინდოდა ბებიას ნახვა და აღარ მიყვარდა მარტი, რომელმაც ჭირისუფალივით მოაცილა ის სახლის კარამდე, დედაჩემის წასაყვანად...

მადონა დვალი

გასაუბრება სოხუმში დარჩენილ ჩემს დაუსრულებელ ნახატებთან

თქვენთან შეხვედრას ისე მოველი და თუ სამყარომ თავად ინება, იმ ნატურმორტში – ლაქა ყვითელი უნდა ვაქციო მანდარინებად და პეიზაჟში, იმ საზღვრის ზოლებს, გადავაკეთებ პორტის თვალებად და ზედ ტალღების ლურჯ ჯირაზოლებს დავსვამ, წამწამთა ნორჩ სულთანებად. იმ ჩანახატში მრუმე ამინდებს აქ გავანათებ, ამ ასოებით და შავი ჭურვის გრძელ პირამიდებს დავტყვავ, კალმის პიკასოებით; მაგრამ რა ვუთხრა იმ მოდელს – ვოვას, ჩემს ნახატში რომ იჯდა ნებივრად, საპოზიოროდ რომ ვეღარ მოვა, იმ ომის გამო დარჩა ხეიბრად. მისი პორტრეტი სახლის ფარდებმა ვერ იხსნეს, თურმე თავგაპოპილი აგდია, ტყვიის ლეოპარდებმა ჩამოუკანრეს ნაზი პროფილი; მისი სათვალის თეთრ სერვანტიდან გადაცვენილა მთელი ცის ფონი, მისი გიტარის შავი ბანტიდან გადაფრენილა მტრედი შიფონი. მას მერე ფუნჯით არ მენერება, ეს ჩემში მხატვრის დაღუპვას უდრის, მოატყდათ ფანქრებს ფეხისწვერები, ვერ ველირსები ვან გოგის მუნდირს! და პოეზიად წამოიღერა, რაც მხატვრის ნიჭმა არ დამაცალა, მე მენატრება ძველი სიმღერა, „ხაშო ბუბსარა“ და „შაჰმაცარა“! მამლერეთ – „უგა, უშხა, ბაჰჩარა“! მე ჩვენმა მტრობამ ვერ შემირიგა, მამლერეთ, თორემ მთელ აჩადარას გადმოვიხატავ მკერდზე სვირინგად! დრო ამ სიყვარულს ვერაფრით დაფლავს, საღებავების ზეთის მირონსმას, ჩემი მოლბერტი არ მისცეთ საფლავს, აჩუქეთ ვინმე აფხაზ ფიროსმანს!

მანონ ბულისკერია

* * *

ახლა როგორმე ხელი უნდა ჩაგჭიდო... ამდენ ტკივილში მხოლოდ უსათუო სიკვდილს გამორჩი! შენ გადანყვიტე, სხვას არავის, მაცხოვარს ჰგავდე და ღმერთი ახლა განა მხოლოდ ამის გამო გსჯის?! ამბობ, რომ თეთრი ღამეები ფიქრებს ისხამენ და სინანული ნელა, მაგრამ მაინც შემოდის ოთახში, სადაც გაფერმკრთალდა თითქოს სისხამი, მნიფე ალუბალს დაემსგავსა დარდი გემოთი! მიყვები, როგორ თენდებოდა! ყოველ ცისმარე ლაყვარდისფერის უცხო ცისქვეშ აღქმა გიჭირდა! არ სრულდებოდა იმ შფოთიან ძილში სიზმარი, არ გელეოდა განახლებად ფიქრში ბიჭვინთა!.. გამოაგნებდი ჯიქურ (განა ხელისცეცებით?!), ზღვაური ისევ მიგახლიდა სისხამს ნისლიანს! სანგარიც იყო... გრძობ, ხელიდან როგორ გეცლები?! რა ჯანდაბაა... უსასრულოდ რატომ ისვრიან?! მტკივა! როგორი შევუტე, თუ უყურებდი... მზე, სხივამქრალი, შუბისტარზე ისევ გადადის... ვკვდები! რადა, დამფრთხალ მტრედებს დავაპურებდი... სანაპიროზე მაგნოლიის ხესაც დავრგავდი... აქ... ბავშვობაში... მირბენია ორთითა ფინლით და ფეხშიშველა შევდგომივარ (გესმის?) ნარიანს! ნაბილიკარი ჩვენ და კიდე... ჩიტებსაც იცვლის... ხეები მაინც უსაშველოდ მარტო არიან! დაცხა... ისეთი ამინდია... ალბათ იწვიმებს... თუ არ განვიმდა (სულერთია!) – ისიც ღვთის ნებით... მთავარი, იცი, რა მგონია?... ახლა ვიძინებ... ნუ გეშინია! რა გატირებს?! ერთად ვიქნებით... სასწაულია! შენ გინდა, რომ იესოს ჰგავდე, (ბავშვობამ ახლოს ჩაგვირბინა დარდიან დიდებს)... მე სასთუმალი გაგისწორე, შენ თავი დადე... ვერ პატიობ და... ხელები კი ლოცვანზე გიდეგს!

რობერტ მესხი

ევკალიპტები

ის, რაც წლების წინ გავასხვისე – ევკალიპტები – დღეს ფოთოლ-ფოთოლ უნდა ვიყიდო. – რა ბრძანეთ? – უცებ მეკითხება აფთიაქარი. მე შორს ვარ (ფიქრით), ის კი – აქ არის და რჩევას მაძლევს: მოვხარშო ორთქლზე, ჩაის კოვზით ვასვა პატარებს... – გმადლობთ, – ვპასუხობ, – ამ ხმელ ფოთლებს ჯიბით ვატარებ.

გიორგი ჩერქეზია

* * *

მე აფხაზეთში დავიბადე, ტყვიებისა და ბომბების ფონზე და ჩემს ოთახში კედლის საათი ახლაც „მუშაობს“ სოხუმის დროზე – ანუ გაჩერდა სწორედ იმ წუთას, როცა გავარდა პირველი ტყვია, ჩემს სამშობლოში დარეჩი და მაინც, დღემდე მე ისევ დევნილი მქვია.

ნაირა მარშანია

ჩვენებური გაზაფხული (ჩანახატი)

გესმით ჩიტების ჭიკჭიკი? რა ლამაზად ჭიკჭიკებენ, თითქოს რაღაც უხარიათ. ჰო, მათ გაზაფხულის მოსვლა უხარიათ. მეც... მეც მიხარია, – მიყვარს გაზაფხული... ძალას მმატებს, ტკივილებს მავიწყებს, იმედები მესახება... მაგრამ მე ჩვენებური გაზაფხული, აფხაზეთის გაზაფხული უფრო მიყვარს. იქ ყველაფერი სხვანაირია... ყვითლად დათოვლილი მიმოხევი... მაგნოლიების სურნელი... აფეთქებული იასამნები... მოლივლივე ლურჯი ზღვა... ლურჯი იები, ყოჩივარდები, ენძელები შემოსევია ველ-მინდვრებს, თითქოს ულამაზესი ფერის ფარდაგები მოუქარგავთ ამ პანია საოცრებებს. იასამნები ამაყად გადმოჰყურებენ ამწვანებულ ველებს. მართლაც, რა ლამაზია იასამანი, თეთრი იასამანი სინაზით გაოცებს. დიას, გაზაფხული საოცრებაა... ზამთრის სუსხით გაჯერებულ გულს სიხარულით, სითბოთი და იმედებით ავსებს. ირგვლივ ყველაფერი მრავალფერად ყვავის, უყურებ და სიცოცხლე გიხარია, რაღაც ახალს ელოდები და გინდა ამ გაზაფხულმა აგისრულოს შენი ჩანაფიქრი, შენი მონატრება. დიას, მეც მინდა ამისრულდეს ჩემი ნატვრა, მინდა ადრე თუ გვიან, ჩვენებური გაზაფხული ვიხილო, — ლამაზი, თბილი, აფხაზეთის გაზაფხული... ჩავისუნთქო ის საოცარი ჰაერი, მოვისმინო ჩიტების ჭიკჭიკი, ვნახო აყვავებული მაგნოლიები... ძველებურად ვირბინო თბილ ქვიშაზე და ვიყვირო: „აჰა, მოვედი! მე თქვენი ვარ... აქ მოვკვდები, თქვენთან... თქვენთან!“... ჩემს მინას ბედნიერი სამუდამოდ ჩავეკვრები მხოლოდ გაზაფხულზე, რადგან გაზაფხული აფხაზეთში საოცრებაა...

„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელი, ამორძალი ხარ მკერდმოჭრილი, უსაქართველოდ...“

30 წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან, აფხაზეთი რომ გაუნელებელ ტკივილად და მონატრებად გვექცა. მშობლიურ მიწაზე დაბრუნების იმედითა და რწმენით, 28 სექტემბერს, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წიგნის – „სადაც სახლი მელიდება“ წარდგინება და მხატვართა გამოფენა გაიმართა. კრებულის გამოცემის იდეა მწერალ ბელა ალანიას ეკუთვნის, რომელმაც თაობათა ნასათუთარ ოცნებებს, განცდებს, ნატვრას, იმედს, ტკივილს, ლექსებად და ჩანახატებად აკინძულს, გვთავაზობს არაერთი ქართველი მწერალი... იყო ლექსი, სიმღერა – ნატკენი გულის გამოძახილი, რომელიც სიყვარულით შეურთდა ჩაუმქრალ „აფხაზურ კანტანტებს“. ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური წრის „აკვარიუმი“ ნორჩმა მსახიობებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“...



ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური წრე „აკვარიუმი“

კრებული, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის, აფხაზეთის კულტურისა და განათლების სამინისტროსა და გამომცემლობა „საარის“ მხარდაჭერით გამოიცა, საჩუქრად გადაეცა ავტორებს.

შემოქმედებითი საღამო



9 სექტემბერს, ქვიშეთის დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმმა პოეტისა და მხატვრის, პედაგოგ ხათუნა ჩიტაძის შემოქმედების მოყვარულთ უმასპინძლა.

მუზეუმის კედლებს ამშვენებდა თვითნასწავლი მხატვრის გამორჩეული ხელნერისა და შინაარსის სხვადასხვა ფანრში შესრულებული ნახატები და ნაქარგები. მკითხველს კი ნაირფერყდიანი ახალი პოეტური კრებული ელოდა.



ბავშვთა და მოზარდთა თეატრალური წრე „აკვარიუმის“ ნორჩმა მსახიობებმა წარმოადგინეს ხათუნა ჩიტაძის ლექსების ლიტერატურული კომპოზიცია: „მარტივად როული მოსაქსოვი ღამეები“.



ღონისძიებას უძღვებოდნენ კლარა გელაშვილი და ეკატერინე ბაქრაძე. საღამო მუსიკალურად გააფორმა ხათუნა ღვალაძემ.

ხაშურის ინტელიგენციის წარმამადგენლებთან ერთად, ღონისძიებას ხათუნა ჩიტაძის კოლეგები, მეგობრები და ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

